პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 202 (4196)

1970 წ. 14 ოქტომბერი. ოთხშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ფიზკულტურა მთავარი საგანია

რამდენიმე მილიონმა გოგონამ და ბიჭმა წლეულს პირველად გადააბიჯა სკოლის ზღურბლს და აგერ უკვე ორი თვეა მერხებს უზის. შვიდი წლის ბავშვს ელის გრძელი და მძიმე გზა — სამყაროს შეცნობის გზა, რომელიც შრომის სამეფოზე გადის. სკოლა კი ეცდება ეს პატარა ადამიანი დაუახლოოს ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარების იდეალს, რომლის არსიც გამოხატულია ამ სამი ცნებით: სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე, ფიზიკური სრულყოფა. ამ სამსახოვანი ჰარმონიის მიღწევის ყველაზე ეფექტურ საშუალებათა შორის, როგორც აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აგვისტოს (1966 წ.) დადგენილებაში „ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, ფიზიკურ კულტურას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. სამწუხაროა, რომ ჯერჯერობით ყველას არ ესმის მისი დაუფასებელი როლი არა მარტო ფუნქციონალური და მოძრაობითი, არამედ ნერვულ-ფსიქიკური, ესე იგი, ადამიანის სულიერი თვისებებით, ინტელექტუალური უნარის სრულყოფაში.

რათა ძალღეული იქნეს არასწორი დამოკიდებულება ფიზიკური აღზრდის მნიშვნელობისადმი, სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტთან ერთად განიზრახა უახლოეს ხანებში დამტკიცდეს დებულება მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის შესახებ. ვარაუდობენ, რომ ეს ღონისძიება აამაღლებს სახალხო განათლების ორგანოების მუშაკთა და სკოლის პასუხისმგებლობას ამ მნიშვნელოვან საქმეში. ამავე დროს, დებულებაში მოცემული იქნება ბავშვთა ფიზიკური აღზრდის იმ საკითხების დეტალიზაცია, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ახალ წესდებაშია გათვალისწინებული.

სკოლაში ფიზიკური კულტურის მნიშვნელობა ბავშვებზე გამაჯანსაღებელი ზემოქმედებით როდი ამოიწურება. ცნობილია, რომ სისტემატური ვარჯიშის გზით შესაძლებელია (და საჭიროცაა) მოსწავლეში აუცილებელი სასიცოცხლო მოძრაობითი უნარისა და ჩვევების გამომუშავება. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ ჰემცოცავი ან კოსმონავტი ძალის, მოქნილობის, ამტანობის, ვესტიბულარული სიმტკიცის გარეშე? ეს ყოველივე საჭიროა წმინდა „მიწიერი“ პროფესიებისთვისაც. ერთი სიტყვით, ფიზიკური კულტურა ადამიანის ნებისმიერი — შრომითი, საბრძოლო, საყოფაცხოვრებო, სასწავლო მოქმედების აუცილებელი საფუძველია. დაბოლოს, სასკოლო ფიზიკური კულტურა წყვეტს დიდ პედაგოგიურ ამოცანებსაც. მისი საშუალებების გონივრულად გამოყენებით შეიძლება ხელი შევუწყოთ პატრიოტიზმის, ამხანაგობისა და მეგობრობის გრძნობას, სიმამაცის, დისციპლინის გამომუშავებას და განმტკიცებას.

მოსწავლეთა ფიზიკური მომზადების დონის ამაღლებისთვის ბევრი რამ კეთდება. მაგრამ ამ გზაზე ბევრი სიძნელეც შეიძლება შევხვდეთ. მათგან ერთ-ერთი მთავარია პედაგოგთა კვალიფიცირებული კადრების ნაკლებობა.

ჯერჯერობით ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა დაახლოებით ერთ მესამედს სპეციალური განათლება არა აქვს. ყაზახეთში, ბელორუსიაში, თურქმენეთსა და მოლდავეთში კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა. სწორედ ამიტომ გაფართოვდა ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა მომზადება.

მაგალითად, რსფსრ-ში ბოლო სამი წლის მანძილზე დამატებით გაიხსნა ფიზიკური აღზრდის ორი ფაკულტეტი, 49 განყოფილება. უკრაინაში გაიხსნა ფიზიკური აღზრდის სამი ფაკულტეტი, ხოლო ყაზახეთში ასეთი ფაკულტეტები ხუთ პედაგოგიურ ინსტიტუტში შეიქმნა.

მეორე სიძნელე სასწავლო-სპორტული ბაზის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. 1967 წელს დამტკიცდა დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლებისთვის აუცილებელი სპორტული ნაგებობების სია, ერთი წლის შემდეგ კი გამოცხადდა საკავშირო დათვალიერება-კონკურსი სასკოლო სპორტული ბაზის განმტკიცების მიზნით. ახლა არც ერთი სკოლა არ შენდება სპორტული დარბაზის გარეშე. ცალკეულ შემთხვევებში სკოლის ძველ შენობებს ამატებენ ახალ სპორტულ დარბაზებს. ორი წლის მანძილზე სპორტული დარბაზების რიცხვი 9 ათასით გაიზარდა. მაგრამ მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩაითვალოს. სპორტული დარბაზებით ჯერჯერობით უზრუნველყოფილია რვაწლიანი და საშუალო სკოლების მხოლოდ ერთი მესამედი.

სასკოლო სპორტული ბაზის განმტკიცებაში სერიოზული დახმარების გაწევა შეუძლიათ საწარმოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. მაგალითად, სემიპალატინსკის ოლქში 20 სპორტული დარბაზიდან 17 კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის ძალებითაა აგებული.

შრომობენ თავად მოსწავლეებიც. მაგალითად, კრიუშინსკის საშუალო სკოლაში, რიაზანის ოლქში, აიგო სპორტული დარბაზი, სპორტული მოედნების კომპლექსი, ზამთრისთვის მომზადებულია 500-მეტრიანი სათხილამურო სარბიელი განათებით.

მიუხედავად მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდაში მოპოვებული მნიშვნელოვანი წარმატებებისა, უწინდებურად ხშირად შემოდის სიგნალები იმის შესახებ, რომ ფიზიკური კულტურის გაკვეთილები ცუდად ტარდება, რომ მოსწავლეები სათანადოდ არ არიან ჩაბმული კლასგარეშე რეგულარულ მეცადინეობაში, სპორტული მოედნები მოუვლელია, არა აქვთ აუცილებელი მეთოდური ლიტერატურა და სასწავლო დამხმარე იარაღები. აი, რატომ იყო, რომ 1969 წლის მიწურულს სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიებმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება სკოლებში ფიზიკური აღზრდის მდგომარეობისა და შემდგომი გაუმჯობესების შესახებ. ამ დადგენილების შესაბამისად, მოკავშირე რესპუბლიკებში დამუშავდა სკოლებში ფიზკულტურის განვითარების ხუთწლიანი გეგმები. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ გეგმების განხორციელება დადებით შედეგებს მოგვცემს.

ამასთან ერთად, გაძლიერდა კონტროლი ფიზიკური აღზრდის პროგრამის განხორციელებაზე. სკოლებს დახმარებას უწევენ მეთოდისტები. ფიზკულტურა ახლა ერთ-ერთ მთავარ საგნადაა მიჩნეული და ამიტომ სკოლების მიმართ მომთხოვნელობა ამ საქმეში განსაკუთრებით გაიზარდა.

თავისთავად ცხადია, რომ დადგენილება კონკრეტული მუშაობით უნდა იყოს განმტკიცებული. დიდი მნიშვნელობა აქვს საგნის ავტორიტეტის გაზრდას, ფიზიკური აღზრდის დონის ამაღლებას როგორც სწავლის, ისე კლასგარეშე პერიოდში. იქ, სადაც ფიზკულტურის მასწავლებელს ეხმარებიან, სადაც ამ საგანს გულისხმიერებით ეკიდებიან სახალხო განათლების ორგანოები, სკოლების ხელმძღვანელები, პედაგოგიური კოლექტივები და მშობლები, შედეგებიც თვალსაჩინოა. მაგალითად, კურგანის ოლქის სოფელ იურგამიშის საშუალო სკოლაში მოსწავლეთა 90 პროცენტი ფიზკულტურულ მეცადინეობაშია ჩაბმული, რადგან სკოლის დირექტორი და პედაგოგები თავადაც მონაწილეობენ ამ მუშაობაში. მაღალ დონეზე დგას ფიზიკური აღზრდის საქმე ვინიცის № 8 და ბევრ სხვა სკოლაში.

ახლა წამოიჭრა აუცილებლობა, რომ ყოველი პედაგოგი არა მარტო ფიზიკური აღზრდის თეორიის საფუძვლებს იცნობდეს, არამედ ბავშვებთან ფიზიკური მეცადინეობის მეთოდიკისა და ორგანიზაციის ხერხებსაც ფლობდეს. ეს განსაკუთრებით საჭიროა, თუ მასწავლებელი სოფლის სკოლაში მუშაობს. დღეს ყველა სოფლის რვაწლიან სკოლას ფიზკულტურის მასწავლებელი უნდა ჰყავდეს, მაგრამ სპეციალისტები ჯერჯერობით კიდევ არ გვყოფნის. ამასთან დაკავშირებით გადაწყდა პედაგოგიური ინსტიტუტების სასწავლო გეგმების სრულყოფა. ნავარაუდევია, რომ პედაგოგიური ინსტიტუტის ნებისმიერი ფაკულტეტის ყველა კურსდამთავრებულს ექნება ცოდნა, რაც აუცილებელია ფიზკულტურული მეცადინეობის ორგანიზაციისა და ჩატარებისთვის. რეკომენდებულია, აგრეთვე, სკოლებში შეიქმნას საკონსულტაციო პუნქტები მშობლებისთვის, სადაც შესაძლებელი იქნება საუბრებისა და ლექციების ჩატარება ბავშვთა ფიზიკური აღზრდის სხვადასხვა საკითხზე.

ბოლო წლებში ბევრი ითქვა და დაიწერა ფიზიკურ კულტურაში შეფასების აუცილებლობაზე. ახლა ეს შეფასება უკვე იწერება საშუალო სკოლის ატესტატებში ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, რსფსრ-ში კი წლევანდლიდან დაინერგება.

ფიზკულტურის გაკვეთილების ხარისხი ძირითადად დამოკიდებულია მასწავლებლის პედაგოგიურ ოსტატობაზე, მის ცოდნაზე, პროფესიულ მომზადებაზე. ამ მიზნით გამომცემლობა „განათლებას“ მიეცა წინადადება გააფართოოს ფიზიკური კულტურის სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის გამოშვება, უზრუნველყოს დამხმარე სახელმძღვანელოების გამოშვება I-III, IV-VIII და IX-X კლასების მასწავლებლებისთვის ახალი პროგრამების მიხედვით.

სერიოზულ და სამართლიან შენიშვნებს იწვევს ფიზკულტურის სწავლება დაწყებით კლასებში, სადაც აღნიშნულ საგანში გაკვეთილებს არასპეციალისტები ატარებენ. მაგრამ IV კლასებში ფიზკულტურის საგნად შემოღებასთან დაკავშირებით, ამ საქმეს სპეციალისტები ჩაუდგებიან სათავეში. I-III კლასების მასწავლებლები გამუდმებით უნდა იმაღლებდნენ კვალიფიკაციას ფიზკულტურაში.

მიღებულია ზომები იმ მიზნით, რათა მოწესრიგდეს სასკოლო სპორტული შეჯიბრებების სისტემა. გადასინჯულია მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადების ჩატარების პირობები, რათა ამ შეჯიბრებებმა სტიმული მისცენ კლასგარეშე სპორტული მუშაობის განვითარებას. გადაწყდა, რომ მორიგი სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები გაიმართება სპორტის მხოლოდ 12 სახეობაში (წინა სპარტაკიადაში — 21).

კიდევ რამდენიმე სიტყვა ერთ საკითხზე: განზრახულია გაფართოვდეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის პრობლემებზე. ჯერჯერობით ამ მუშაობის ეფექტურობა სასურველ სიმაღლეზე ვერ დგას, რაც მთავარია, დაბალია სიახლის დანერგვისა და ინფორმაციათა ოპერატიულობის დონე.

**ვ. ბოგოსლოვსკი,**
სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ფიზაღზრდის განყოფილების უფროსი.
„პრავდა“, № 285 (19068).



ტაშკენტში, მძლეოსნობაში სსრ კავშირის თასის — „იზვესტიის“ პრიზის გათამაშების ფინალურ ტურნირში ლენინგრადის ქალთა გუნდის გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა 200 მეტრზე თარჯრბენში სსრ კავშირის რეკორდსმენმა მ. ნიკიფოროვამ, რომელმაც თავის სახეობაში პირველობაც მოიგო და ქვეყნის რეკორდიც (26,6) გაიმეორა, ამასთან, ეს იყო ერთადერთი სარეკორდო შედეგი ამ შეჯიბრებაში.

სურათზე: 200 მეტრზე თარჯრბენის მომენტი. წინ — ნიკიფოროვა.

„იზვესტიის“ ფოტო.

## დასკვნითი ეტაპზე

ხარკოვში დაიწყო „ა“ კლასის II ჯგუფის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო პირველობის დასკვნითი ეტაპი. პირველ ტურში დაძაბული გამოდგა ხარკოვისა და მოსკოვის ოლქის დინამოელთა მატჩი, რომელმაც გამარჯვებული ვერ გამოავლინა. შეხვედრა ფრედ (4:4) დამთავრდა. ტურის სენსაცია იყო მინსკის „ბურევესტნიკის“ გამარჯვება თბილისის „ლოკომოტივთან“ შეხვედრაში. რკინიგზელებმა მატჩი თავიანთ შესაძლებლობაზე სუსტად ჩაატარეს და დამარცხდნენ — 3:6. ვოლგოგრადის „სპარტაკმა“ მოუგო ლვოვის „დინამოს“ — 5:3.

ტურნირში I ადგილზე გასული კოლექტივი უმაღლესი ლიგის საგზურს მიიღებს.



# დიად თარიღებს ეძღვნება

პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა გადაწყვიტა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავთან დაკავშირებით მოაწყოს მასობრივი ალპინიადა ყაზბეგის რაიონში და ასვლა მწვერვალ გორზე.

ალპინიადის სრულყოფილად ჩატარებისთვის შედგა საორგანიზაციო კომიტეტი პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგის, სპორტის დამსახურებული ოსტატის მ. ქლენტის ხელმძღვანელობით. კომიტეტში შევიდნენ პროფკავშირთა სპორტული საზოგადოებების თავმჯდომარეები. შემუშავდა გეგმა და 12 ოქტომბერს ალპინიადის მონაწილე 70-მდე კაცი ყაზბეგის რაიონში გაემგზავრა. ალპინიადის საერთო ხელმძღვანელია სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. ობოლაძე.

13-დან 26-27 ოქტომბრამდე ექსპედიცია ყაზბეგის რაიონში გამართავს საწვრთნელ-სავარჯიშო შეკრებას, ხოლო 27-28 ოქტომბერს მთამსვლელთა ჯგუფი გაემართება მწვერვალ გორის დასაპყრობად.

# გონიოელებმა იმარჯვეს

ახლახან ბათუმის რაიონის სოფელ ანგისის სპორტულ ბაზაზე გაიმართა რაიონის V საიუბილეო სპარტაკიადა, რომელიც საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს მიეძღვნა.

სპარტაკიადის გახსნაზე მოვიდნენ რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები. სპორტსმენებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, რაიაღმასკომის თავმჯდომარე ნ. ბახტაძემ.

ათი დღის დაძაბული ბრძოლების შემდეგ კომპლექსურ ჩათვლაში ჩემპიონობა დამსახურებულად მოიპოვა გონიოს სოფსაბჭოს გაერთიანებულმა ფიზკულტურულმა კოლექტივმა (სოფსაბჭოს თავმჯდომარე ზ. ბერიძე, ფიზკულტურის მეთოდისტი ა. ნიჟარაძე) — 43 საჯარიმო ქულა. საერთო გუნდურ ჩათვლაში II ადგილზე გასულმა სოფელ კახაბრის ნაკრებმა კოლექტივმა მხოლოდ ერთი ქულით წააგო I ადგილი (44). 57 ქულით III საპრიზო ადგილი მოიპოვა მახინჯაურის გუნდმა.

კარგად მომზადებული გუნდები გამოიყვანეს გონიოს, კახაბრის, მახინჯაურის, ურეხის, ხელვაჩაურის, ახალშენის, თხილნარის ფიზკულტურულმა კოლექტივებმა. რაც შეეხებათ ხარფის, აჭარის ალმართის, აჭარისწყლის, კირნათის, ჩაისუბნის ფიზკოლექტივებს, მათზე კარგს ვერაფერს ვიტყვით.

**ო. მურვანიძე.**
(ჩვენი კორ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამოცდები ჩაბარებულია

სსრ კავშირის ფიზკულტურელებს წლეულს ძნელი გამოცდა ჰქონდათ: ჩვენს ქვეყანაში პირველად გაიმართა ფიზკულტურული და კომკავშირული ორგანიზაციების სპორტული და მასობრივ-თავდაცვითი საქმიანობის საკავშირო დათვალიერება, ახალგაზრდობის გამოცდები ფიზკულტურასა და სამხედრო-ტექნიკურ მომზადებაში. იმაზე, თუ როგორ ჩატარდა რესპუბლიკაში ეს ღონისძიება, ჩვენს კორესპონდენტს უამბო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის საორგანიზაციო მუშაობის, მოსახლეობის ფიზაღზრდის, კადრებისა და პროპაგანდის განყოფილების უფროსმა ნ. სომხიშვილმა. ვბეჭდავთ ამ ინტერვიუს.

● საქართველოს პროფსაბჭომ, საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა, დოსააფის რესპუბლიკურმა კომიტეტმა შარშან ივლისში მიიღეს ერთობლივი დადგენილება რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების საკავშირო გამოცდა-დათვალიერებაში მონაწილეობის შესახებ. გვიამბეთ რესპუბლიკაში ამ ღონისძიების პირველ ნაბიჯებზე.

— საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციებში ფართო განმარტებითი მუშაობა ჩატარდა, რათა გამოცდა-დათვალიერების ამოცანებს ყველა გასცნობოდა. ამ საქმეში დიდად დაგვეხმარნენ ფიზკულტურისა და კომკავშირის რაიონული და საქალაქო კომიტეტები, სპორტული და ახალგაზრდული გაზეთების რედაქციები, რადიოსა და ტელევიზიის ახალგაზრდულ გადაცემათა რედაქციები. ისინი ხშირად აქვეყნებდნენ მასალებს გამოცდა-დათვალიერების მიმდინარეობაზე, აფხაზეთის საოლქო, რუსთავის საქალაქო კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებაზე, იმაზე, თუ რა წარმატებით ჩატარდა გამოცდები თბილისის 86-ე საშუალო სკოლაში...

ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ორჯერ განიხილა გამოცდა-დათვალიერების მიმდინარეობის საკითხები. შედეგები თვალსაჩინო იყო: პირველ ეტაპზე საქართველოში მომზადდა 49.419 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, 5.952 მსაჯი, 14.211 საზოგადოებრივი მწვრთნელი, ლაშქრობათა ხელმძღვანელი. დოსაავის წევრთა რიგებს 89.324 კაცი შეემატა, ფიზკულტურელთა რიგები კი 24.731 კაცით გაიზარდა. გამოცდა-დათვალიერების პერიოდში მწყობრში ჩადგა 4 სტადიონი, 5 აუზი, 2 ტირი, 103 სპორტული დარბაზი.

● ჩვენთვის ცნობილია, რომ თბილისის თოიძის სახელობის № 11 სამხატვრო პროფტექსასწავლებელში გამოცდები ყველა — 746 მოსწავლემ ჩააბარა. საინტერესოა, როგორ ჩაიარა დათვალიერებამ სხვა ორგანიზაციებში?

— გამოცდა-დათვალიერებაში კარგი შედეგები მოიპოვეს აფხაზეთისა და აჭარის საოლქო, ჭიათურის, რუსთავის, თბილისის საქალაქო, ახალციხის, წყალტუბოს, ზესტაფონის რაიონულმა ორგანიზაციებმა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნისა და რუსთავის მეტალურგიული კომბინატის სპორტკლუბ „ფოლადის" კოლექტივებმა.

აფხაზეთში გამოცდა-დათვალიერების პერიოდში გაიმართა 1489 შეჯიბრება, რომლებშიც 41624 ჭაბუკი და გოგონა მონაწილეობდა. ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელში განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ტურნირის მეორე ეტაპი: 1000 კურსანტიდან 100 მეტრზე რბენაში 936 მონაწილეობდა, ტყვიის სროლაში 849 კურსანტი ასპარეზობდა, კატარღის მართვაში 845 მოსწავლე ცდიდა ძალას. სასწავლებლის 845 კურსანტმა გამოცდები ყველა — 8 სახეობაში ჩააბარა.

ფიზკულტურისა და სპორტის თბილისის კომიტეტმა კომკავშირის საქალაქო ორგანიზაციასთან ერთად აპრილში კოლექტივებში რეიდი მოაწყო შეჯიბრების მეორე ეტაპისთვის მზადების შესამოწმებლად. გამოირკვა, რომ ყველაზე კარგი მაჩვენებლები კალინინისა და ლენინის რაიონებს ჰქონდათ. ამ რაიონებში ახალგაზრდების აქტიური დახმარებით შესანიშნავი სპორტბაზები აიგო და გამოცდა-დათვალიერების მეორე ეტაპის დაწყება ზეიმად იქცა.

მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ თბილისის 157 ათასზე მეტი ახალგაზრდა მცხოვრებიდან გამოცდა-დათვალიერებაში 127 ათასზე მეტი მონაწილეობდა. 110 ათასი დაეუფლა სამხედრო-ტექნიკურ სპეციალობას, 55 ათასმა ჩააბარა ნორმატივი ნიშანზე „მზად ვარ სამშობლოს დასაცავად", 177 ათასმა — მეთ კომპლექსის ნორმატივი.

● როგორ ჩატარდა დათვალიერება სოფლის ფიზკულტურულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში?

— შარშან ზაფხულში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები რესპუბლიკის ოთხ რაიონს ესტუმრნენ, წლეულს კი ექვს რაიონში იყვნენ. ისინი მასპინძლებს დაეხმარნენ სექციების მუშაობის სათანადო დონეზე დაყენებაში, შეჯიბრებების გამართვაში, ბაზების კეთილმოწყობაში.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშის კოლმეურნეობის 340 ჭაბუკი და გოგონა გამოვიდა გამოცდების ჩასაბარებლად და მათგან 292-მა ყველა სახეობაში იმარჯვა. დათვალიერების მიმდინარეობის პერიოდში აქ მოაწყვეს მძლეოსნური სექტორები, შეიძინეს სპორტინვენტარი.

ახალციხის რაიონის აწყურის საბჭოთა მეურნეობის 306 კომკავშირელიდან გამოცდა-დათვალიერებაში 297 ჩაება. მეურნეობის ნაკრები სამხედრო-ტექნიკურ სახეობათა რაიონულ სპარტაკიადაში ჩაება და 11 ადგილი დაიკავა.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი და „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭო უკვე 10 წელია სისტემატურად ატარებენ სოფლად ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის კონკურს-დათვალიერებებს. წლეულს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სპორტული ბაზების აგებას. და აი, 1 აგვისტოსთვის სოფლად უკვე 300 სპორტული ობიექტი კეთილმოეწყო.

● დოსაავის პირველადმა ორგანიზაციებმა როგორღა იმუშავეს?

— მათ ყველაზე მეტი წვლილი შეიტანეს წვევამდელთა გამოცდა-დათვალიერების წარმატებით ჩატარებაში. დოსაავის წრეებში მომზადდნენ ყველა წვევამდელმა, „მზად ვარ სამშობლოს დასაცავად" კომპლექსის ნორმატივები ჩააბარა და საკავშირო გამოცდა-დათვალიერების მოთხოვნებიც უკლებლივ შეასრულა. 101.017 კაცმა შეასრულა სპორტის ტექნიკური სახეობის სათანრიგო ნორმატივები, 33.341 დაეუფლა რადისტის, პარაშუტისტის, ელექტრომექანიკოსის, ავტომობილის მძღოლის სპეციალობას, 43 ათასმა ახალგაზრდამ მიიღო „ზუსტი მსროლელის" ნიშანი.

● მე ვიყავი ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში. შევიტყვე, რომ აქ 2810 მონაწილიდან გამოცდა-დათვალიერების ყველა მოთხოვნა მხოლოდ 850 კაცმა შეასრულა. იქნებ სხვა კოლექტივებშიც იყო ჩამორჩენა?

— სამწუხაროდ, საკავშირო გამოცდა-დათვალიერების დონე დაბალი იყო მესტიის, დმანისის, ლაგოდეხის რაიონებში. სპორტის ტექნიკური სახეობების განვითარებისთვის საჭირო ბაზების სიმცირემ სოფლის რაიონებში ხელი შეუშალა გამოცდების მაღალ დონეზე ჩატარებას.

სხვა სიძნელეც იყო: გამოცდა-დათვალიერების მეორე ეტაპი დაემთხვა გამოცდებს საშუალო, საშუალო-ტექნიკურ და უმაღლეს სასწავლებლებში. საქმე უფრო გაიოლდებოდა, რომ მეორე ეტაპი მაისში დაწყებულიყო და ოქტომბრამდე გაგრძელებულიყო.

## [illegible]

### კასპი

სკოლა-ინტერნატის სპორტულ მოედანზე ჩატარდა რაიონის სოფლის სკოლების მოსწავლეთა საშემოდგომო შეჯიბრება მძლეოსნობაში. სარბიელზე გამოვიდნენ 14 საშუალო და რვაწლიანი სკოლის სპორტსმენები.

გუნდური I ადგილი დაიკავეს სასირეთის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, II ადგილი წილად ხვდათ ხოვლელ მძლეოსნებს, III — ლამისყანის საშუალო სკოლის წარმომადგენლებს.

**ლ. ელისაბედაშვილი.**

### აბაშა

სოფელ ეწერის 8-წლიან სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა სპორტს. აქ გააჩნიათ კალათბურთისა და ფრენბურთის კეთილმოწყობილი მოედნები. სკოლა ყოველწლიურად ასრულებს ნიშნოსნებისა და თანრიგოსანთა მომზადების გეგმებს. აქაური სპორტსმენები წარმატებით გამოდიან რაიონულ სპარტაკიადებში.

**რ. ჟანტურია.**

# მასწავლებლის გახსენება

ამბობენ: პირველი შთაბეჭდილება ყველაზე ძლიერია და არასოდეს იშლება ადამიანის მეხსიერებიდანო. იქნებ ყოველთვის ასე არ არის, მაგრამ საინტერესო, ძვირფასი ადამიანები პირველი გაცნობისთანავე მართლაც წარუშლელ კვალს ტოვებენ ჩვენს მახსოვრობაში. ეს ადამიანები ჰგვანან საყვარელ წიგნებს, რომლებიც, რახან ერთხელ გადაშლი და წაიკითხავ, შემდეგ შენი ცხოვრების განუყრელ თანამგზავრებად იქცევიან. მათ ერთი უებარი თვისება აქვთ: რაც ხანი გადის, სულ ახალი ფერებითა და სიღრმით გიზიდავენ.

ერთ-ერთი ასეთი ადამიანი ჩემთვის ლევ გოლოვნია გახლდათ. პირველად იგი ამ თხუთმეტი წლის წინათ ვნახე, „დინამოს" საფარიკაო დარბაზში, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ ამიერკავკასიის მოფარიკავეები. მას შემდეგ ძალზე დიდმა ხანმა განვლო და ჩემი მეხსიერებიდან თითქმის სავსებით ამოიშალა შეჯიბრების პერიპეტიები. მაგრამ დღესაც ცხადად მახსოვს მაღალი, თეთრთმიანი, დახვეწილი მანერების ჯენტლმენი. იგი ერთბაშად იქცევდა ყურადღებას და შეჯიბრების მონაწილენიც განსაკუთრებული პატივისცემით ექცეოდნენ. მე მაშინ პატარა ვიყავი და ფარიკაობაზე ვოცნებობდი. მერიდებოდა ვინმესთვის მეკითხა ამ კეთილშობილური ქცევისა და გარეგნობის ადამიანის ვინაობა. ჩემს უფროს ძმას გოგის, რომელმაც შეჯიბრების საყურებლად მიმიყვანა, ჩემთვის არ ეცალა: თვითონ მონაწილეობდა ტურნირში. როგორც კი შეჯიბრება დამთავრდა, მაშინვე მისკენ გავიქეცი.

— ეს კაცი ფარიკაობის ცნობილი მასწავლებელი ლევ გოლოვნიაა, — მითხრა გოგიმ.

შემდეგ წლებში გოლოვნია უფრო კარგად გავიცანი.

საოცარია ამ იშვიათი ადამიანის ცხოვრება. იგი დაიბადა ქუთაისში, რევოლუციამდელი ინტელიგენტის ოჯახში. მამამისი მხატვარი იყო და შვილიც ხელოვანი უნდოდა ჰყოლოდა. ვასილ გოლოვნიას უსაზღვროდ უყვარდა საქართველო, მისი ძველისძველი კულტურა, მხიარული და გულღია ქართველი ხალხი. ეს სიყვარული და პატივისცემა თავისი მეორე სამშობლოსადმი (თვითონ წარმოშობით უკრაინელი იყო) ვაჟსაც ჩაუნერგა. სხვათა შორის, ვასილ გოლოვნია იმ დროისთვის კარგი მხატვარი გახლდათ და საზოგადოებაში თქონელის ფსევდონიმით იყო ცნობილი.

ლევ გოლოვნიას სამუდამოდ დაჰყვა ხელოვნების სიყვარული. მისი ბიბლიოთეკა ერთ-ერთი უნიკალური იყო თბილისში. მე მიყვარდა სიარული მის მყუდრო სახლში, ოქტომბრის ქუჩაზე. გოლოვნიას სახლის კარი ყოველთვის ღია იყო მოფარიკავეებისთვის. ჩვენ ამ პრივილეგიით სიხარულით ვსარგებლობდით ხოლმე.

გულღია მასპინძელი თაროებთან მიმიყვანდა, გადმომიღებდა რომელიმე წიგნს და ისე მაცნობდა, როგორც ძვირფას ახლობელ ადამიანს. ამ წიგნების უმრავლესობას მრავალი თაობის ხელში გამოევლო და მათ წინა ეპოქების დამახასიათებელი სურნელი დაჰკრავდა. როცა სახლიდან პირველი წიგნი გამომატანა — მახსოვს, ეს იყო ჯეკ ლონდონის „თეთრი ეშვი" — თხუთმეტ-თექვსმეტი წლისა ვიყავი. რამდენიმე დღის შემდეგ წიგნი პატრონს დავუბრუნე. ლევ გოლოვნიამ იგი მაშინვე არ შეინახა თაროზე, ხელში შეათამაშა, გადაფურცლა და ძალიან ტაქტიანად მთხოვა რომელიღაც ნაწილი შემახსენებინა — აქაოდა, დიდი ხნის წინათ წავიკითხე და კარგად აღარ მახსოვსო: მაშინვე ვუამბე. გოლოვნიამ კმაყოფილებით ჩაიცინა, შეკითხვა აღარ მოუცია, მაგრამ მას შემდეგ წიგნებს თავისი ბიბლიოთეკიდან მეტი ხალისით მაძლევდა.

ვინ იცის, რამდენი საღამო გაგვიტარებია მხატვრობაზე, მუსიკაზე და, რა თქმა უნდა, ფარიკაობაზე მასლაათში. როცა ფარიკაობაზე ლაპარაკობდა, იგი მეოცნებე ადამიანი ხდებოდა. გოლოვნიამ მშვენივრად იცოდა სპორტის ამ უძველესი სახეობის განვითარების ყველა ეტაპი. ამ ცოდნას იგი საოცარი პედაგოგიური ალღოთი გადასცემდა თავის მრავალრიცხოვან მოწაფეებს.

გოლოვნიას აღზრდილებიდან ბევრმა დიდი წარმატებები მოიპოვა საფარიკაო ასპარეზზე, შემდეგ კი ჩვენი ქვეყნის მოწინავე მწვრთნელიც გახდა. ერთი სიტყვით, გოლოვნიამ ისინი აღზარდა არა მარტო უძლიერეს მოფარიკავეებად, არამედ ერუდირებულ, ჩინებულ მოქალაქეებადაც. დიდი მადლიერების გრძნობით იგონებენ ამაგდარ მასწავლებელს ამჟამად მთელ საბჭოთა კავშირში ცნობილი მწვრთნელები: ოთარ დიდებულიძე, აკაკი მეიფარიანი, ტრიფონ მესხი, შოთა დარასელია, იური კაზანჯიანი, რაჩიკ გასპარიანი... ბევრი რამ, რაც ლევ გოლოვნიამ მათ ასწავლა, ჭერაც არ მოძველებულა. გაივლის დრო, ფარიკაობის ხერხები და საშუალებები, რასაც გოლოვნია თავის მოწაფეებს ასწავლიდა, იქნებ ახალი მეთოდიკით შეიცვალოს, მაგრამ წარუვალი და ხანიერი იქნება მის მიერ შთაგონებული პატიოსნება, კეთილშობილება, ჯენტლმენობა და სამართლიანობის გრძნობა, რაც ყველა ადამიანს მოეთხოვება.

... როცა ბოლო წლებში ლევ გოლოვნიასთან მქონდა ურთიერთობა, საუბრის დროს გონებაში ამეკვიატებოდა ერთი ფრაზა „ფარიკაობის პატრიარქი, ფარიკაობის პატრიარქი"... ოთხმოც წელს მიახლოებული თეთრთმიანი, მაგრამ ლარივით წელში გამართული კაცის დანახვაც კი ყველა ადამიანში გულწრფელ პატივისცემასა და მოწიწების გრძნობას აღძრავდა. ჩვენ, მოფარიკავეებს, გვიყვარდა ფიზკულტურის ინსტიტუტში მისვლა, სადაც იგი ფარიკაობის კათედრას განაგებდა. ვუყვებოდით ჩვენი ცხოვრების ამბებს, ვთხოვდით რჩევა-დარიგებებს. უკეთეს მრჩეველს კი კაცი ვერც ინატრებდა.

ახლა, როცა კვლავ ვესტუმრებით ხოლმე ინსტიტუტის ფარიკაობის კათედრას, გულისტკივილით ვგრძნობთ რაღაც დიდ დანაკლისს და მაშინ უკეთ შევიგრძნობთ, რა ამაგდარი კაცი დაკარგა მცირე ხნის წინ ქართულმა ფარიკაობამ.

**ა. გოგელია,**
**სპორტის ოსტატი.**



სხვადასხვა გზით.

მ. თათარიშვილის ფოტოეტიუდი.

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

საკავშირო ჩემპიონატში გუშინწინ კიდევ ერთი მატჩი გაიმართა.

გათამაშების აუტსაიდერი ორჯონიკიძის „სპარტაკი" მასპინძლობდა კიევის „დინამოს". აუტსაიდერმა ტოლი არ დაუდო საქვეყნოდ ცნობილ ფეხბურთელთა კოლექტივს და გამარჯვებასაც მიაღწია — 3:2. ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს მე-5 წუთზე (აბაევი). შესვენებამდე კიეველმა ტროშკინმა აღადგინა წონასწორობა — 1:1. მეორე ტაიმის დასაწყისში ჯერ ძაგოევმა დააწინაურა „სპარტაკი" (2:1), შემდეგ კი აბაევმა გაზარდა ანგარიში — 3:1. კიეველებმა მხოლოდ ერთი ბურთით შეამცირეს სხვაობა (ბუზაჩი).





# „სპორტი, სპორტი, სპორტი..."

ახალგაზრდა კინორეჟისორმა ე. კლიმოვმა, რომელმაც მაყურებელთა პოპულარობა მოიპოვა ფილმით „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ანუ გარეშე პირთათვის შესვლა აკრძალულია", ახლახან კინოსტუდია „მოსფილმში" დაამთავრა მუშაობა ფერად ფილმზე „სპორტი, სპორტი, სპორტი..."

— მე და ჩემს ძმას — სცენარისტ გერმან კლიმოვს, რომელსაც დებიუტი აქვს მხატვრულ კინოში, გვსურდა ეკრანზე გვეჩვენებინა ნამდვილი სპორტი, მისი „სამზარეულო", ქრონიკა, სიხარული და სატკივარი, — გვიამბობს კინორეჟისორი, — მაგრამ ჩვენთვის მაინც ყველაზე მთავარი ის იყო, თუ რა ადგილი უჭირავს სპორტს საზოგადოების ცხოვრებაში".

„სპორტი, სპორტი, სპორტი..." ექსპერიმენტული, უჩვეულო ჟანრის ფილმია. მასში დოკუმენტური შავ-თეთრი კადრები ორგანულად ერწყმიან ფერად მხატვრულ-კომედიურ და გროტესკულ ეპიზოდებს. ფილმი ბევრი სხვადასხვა ნოველისგან შედგება.

მოქმედება მიმდინარეობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მიწაზე და წყალქვეშ, შორეულ წარსულში, აწმყოში და მომავალში.

ფილმის მთავარი გმირები სხვადასხვა ქვეყნისა და დროის სპორტსმენები არიან. ამ სპორტსმენებიდან მხოლოდ ორი ასრულებს მათთვის უჩვეულო — მსახიობის მოვალეობას. მსოფლიო ჩემპიონი კალათბურთში ვ. ანდრეევი ნაღვლიანი ახალგაზრდა კაცის როლს თამაშობს, მოკრივეს კი განასახიერებს სსრ კავშირის რეკორდსმენი ბადროს ტყორცნაში ვ. ლიახოვი.

პროფესიონალი მსახიობებიდან ფილმში გადაღებული არიან ბ. ხვეტლანი, რომელიც მოხუცი მასაჟისტის როლს ასრულებს და ნ. მიხალკოვი.

* * *

ხ უ რ ა თ ე ბ ზ ე: კადრები ფილმიდან „სპორტი, სპორტი, სპორტი..."

# ისევ მარცხი

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 12 ოქტომბერი.

„ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი) 2:1 (2:1).

„ტორპედო": ბანიკოვი, პანეცი, პახომოვი, სალიგა, იურინი, შუსტიკოვი, ლენიოვი, პაისი, შალიმოვი, გერშკოვიჩი, ნიკონოვი (აბრამოვი).

„დინამო": სტეფანია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მსაჯი ვ. ალოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები — 1:0 „ტორპედოს" სასარგებლოდ.

ორმხრივ იერიშებს კარგა ხანს შედეგი არ მოჰყოლია. ანგარიში გაიხსნა მაშინ, როცა მას ყველაზე ნაკლებად ელოდნენ. კუტივაძემ მინდვრის ცენტრში ჩაიგდო ბურთი, სწრაფად დაიძრა წინ... ამ დროს მას უძეშად ეთამაშნენ. ჯარიმა: კუტივაძემ შორი მანძილიდან ყუმბარისებური დარტყმით აიღო კარი. სტუმრებმა ტემპს უმატეს, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ისინი მიღწეულს არ დასჯერდებოდნენ. ნუთუ ნავსი გატყდა და თბილისელები წლევანდელ სეზონში პირველ მოგებას სტუმრად ტორპედოელებთან იზეიმებენ? მაგრამ იმედი არ გამართლდა. ტაიმის ბოლოს, სულ რაღაც 3 წუთში, ჯერ იურინმა აღადგინა წონასწორობა, მერე კი შალიმოვმა თავური დარტყმით დააწინაურა „ტორპედო" — 2:1.

შესვენების შემდეგ მასპინძლებს კიდევ ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის რამდენიმე რეალური შესაძლებლობა, მაგრამ საბოლოო დარტყმები ხან უზუსტო იყო, ხან კი სტეფანია თამაშობდა მარჯვედ. მეტად საჭირო ორი ქულის დაკარგვის საფრთხის წინაშე დამდგარი თბილისელები, თითქმის მთელი მეორე ტაიმის მანძილზე დუნედ, ძალიან ნელ ტემპში თამაშობდნენ. შეხვედრის ბოლოს სტუმრები თითქოს გამოფხიზლდნენ, მაგრამ უკვე გვიან იყო.

ვ. პავლოვი.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მოსკოვი) | 28 | 15 | 7 | 6 | 42—20 | 37 |
| ცსკა | 27 | 16 | 4 | 7 | 40—17 | 36 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 28 | 11 | 13 | 4 | 41—22 | 35 |
| „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 28 | 10 | 12 | 6 | 25—21 | 32 |
| „დინამო" (თბილისი) | 27 | 11 | 7 | 9 | 35—26 | 29 |
| „დინამო" (მინსკი) | 28 | 10 | 9 | 9 | 31—25 | 29 |
| „დინამო" (კიევი) | 29 | 12 | 5 | 12 | 32—29 | 29 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 28 | 10 | 9 | 9 | 29—31 | 29 |
| ასკ (დონის როსტოვი) | 27 | 7 | 14 | 6 | 25—25 | 28 |
| „ნეფთჩი" (ბაქო) | 27 | 8 | 10 | 9 | 22—19 | 26 |
| „არარატი" (ერევანი) | 27 | 9 | 8 | 10 | 25—28 | 26 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 28 | 9 | 7 | 12 | 27—36 | 25 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 28 | 9 | 7 | 12 | 30—47 | 25 |
| „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 29 | 6 | 12 | 11 | 21—42 | 24 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 28 | 7 | 9 | 12 | 23—34 | 23 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 29 | 6 | 10 | 13 | 22—34 | 22 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 28 | 6 | 7 | 15 | 27—41 | 19 |

„ბ" ჯგუფი

II ზონის I ქვეჯგუფში

12 ოქტომბერს გაიმართა „ბ" კლასის II ზონის I ქვეჯგუფის გუნდების შეხვედრები. აი, რა შეგვატყობინეს ჩვენმა კორესპონდენტებმა:

### სოხუმში

ადგილობრივი „დინამო" შეხვდა თელავის „კახეთს". მთელი მატჩი მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. შესვენებამდე დინამოელმა დელბამ ორჯერ აიღო მეტოქეთა კარი (მე-12 და მე-18 წუთებზე). შემდეგ სტუმრებმა შეძლეს ერთი ბურთის გაქვითვა: სოხუმელმა უზუნიანმა თავის საჯარიმო მოედანზე ხელით ითამაშა და თელაველმა ცირეკიძემ 11-მეტრიანი დარტყმა ზუსტად შეასრულა. მატჩის ბოლოს ხარტიკოპულომ კიდევ ერთი ბურთი გაიტანა „კახეთის" კარში.

გაიმარჯვეს სოხუმელებმა — 3:2.

შ. ჯალალონია.

### ფოთში

„კოლხეთმა" უმასპინძლა რიაზანის „სპარტაკს". პირველი ბურთი მასპინძლებმა მიიღეს თავიანთ კარში. შემდეგ თამაში „კოლხეთის" აშკარა უპირატესობით წარიმართა, ზევრჯერ შეიქმნა საგოლე მომენტი, მაგრამ თავდამსხმელები აყოვნებდნენ ან უზუსტოდ ურტყამდნენ კარში. ამასობაში სპარტაკელებმა ტრავმის გამო 2 მეკარე შეცვალეს და ბოლოს მინდვრის მოთამაშე დადგა კარის დარაჯად. ფოთელმა კალიუჟნოვმა სწორედ ამის შემდეგ შეძლო ანგარიშის გაქვითვა — 1:1.

ბ. ბასილაია.

### ტყიბულში

„მეშახტემ" დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა კამენსკ-შახტინსკის „პროგრესთან" — 4:2. მატჩის პირველი წუთი დრამატული გამოდგა მასპინძლებისთვის: მეკარე გუგუშვილი კარიდან ძალიან წინ იყო გამოსული და კოვალენკომ კარგად ისარგებლა ამით. ამის შემდეგ მასპინძლები ერთთავად უტევდნენ მეტოქეს და მე-17 წუთზე, როცა სტუმართა მცველმა ანდრეევმა საჯარიმო მოედანზე ხელით ითამაშა, 11-მეტრიანი დარტყმა დაინიშნა და სირაძემ აღადგინა წონასწორობა.

შეხვედრის 51-ე წუთზე სირაძემ გარღვევაზე გაიყვანა თოდიძე, რომელმაც გაზარდა კიდეც ანგარიში — 2:1, მაგრამ 3 წუთის მერე ტყიბულელთა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო. ჯალადოვის დარტყმა ზუსტი იყო — 2:2.

მატჩის დამთავრებამდე ხადავეები „მეშახტემ" იგდო ხელთ. 76-ე წუთზე მიქაშავიძემ მოატყუა სამი მცველი, ბოლოს მეკარე და ანგარიში გაზარდა — 3:2. როცა მატჩის დამთავრებას 5 წუთი აკლდა, სირაძემ კიდევ უფრო განამტკიცა თავისი გუნდის წარმატება — 4:2.

ზ. ჯორჯაძე.

### ცხინვალში

ადგილობრივმა „სპარტაკმა" ფრედ (1:1) დაამთავრა შეხვედრა კრასნი სულინის „მეტალურგთან". თამაშის 30-ე წუთზე ცხინვალელმა ავერკოვმა ზუსტი და ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0. შესვენების შემდეგ (56-ე წუთზე) სტუმრებმა საჯარიმო გაითამაშეს. ამ დროს მასპინძელთა მცველმა შეცდომა დაუშვა, „მეტალურგის" თავდამსხმელმა ტევასოვმა შემთხვევით ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

დარჩენილ დროში ცხინვალელები სახიფათოდ უტევდნენ მეტოქეს, მაგრამ ანგარიში უცვლელი დარჩა.

გ. მელქოევი.

(ჩვენი კორ.).

# ჯილდოები ღირსეულთ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ბრძანებით, ედმონტონის 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მოპოვებული სპორტული მიღწევისთვის, ამ შეჯიბრებაში გამოჩენილი ნებისყოფისა და მამაცობისთვის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის საპატიო წიგნში შეტანილია საბჭოთა კავშირის ნაკრებს წევრი კლასიკურ ჭიდაობაში რ. რურუა (თბილისი, „კოლმეურნე").

* * *

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ბრძანებით, მოჭიდავეთა 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატებისთვის ნაკრები გუნდების წარმატებით მომზადებისთვის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების მწვრთნელები ი. ჩხარტიშვილი და ნ. აკოფოვი (ორივე — თბილისი, „კოლმეურნე").

# მხოლოდ ვერცხლი

ერევანში დამთავრდა სსრ კავშირის უძლიერეს ავტომობილისტთა ტურნირი, რომელშიც სსრ კავშირისა და სამხედრო-ტექნიკური სახეობების V საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონის ოქროს მედლები გათამაშდა.

„ვოლგის" კლასის მანქანებით შეჯიბრებაში I ადგილი მოიპოვა ვ. კარაჯიანმა, „გაზ-41"-ის მანქანებით კი შ. ოვსეპიანმა (ორივე — სომხეთი). „გაზ-51"-ის კლასში II ადგილზე გავიდა თბილისის მე-2 ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლი გ. ლევშინი. გუნდურ ჩათვლაში პირველობა უკრაინის სპორტსმენებმა მოიპოვეს, II ადგილზე სომხეთის კოლექტივი, III — ესტონეთის გუნდი. საქართველოს ავტომობილისტები V ადგილზე გავიდნენ.

● ტურინი, 12 ოქტომბერი. აქ გამართულ შეჯიბრებაში იტალიელმა მძლეოსანმა ქალმა ფ. არეზემ 1-კილომეტრიან დისტანციაზე 2.16,9 აჩვენა. ეს შედეგი იტალიის ახალი რეკორდია და წლეულს საუკეთესოა მსოფლიოში.

● ბელგრადი, 12 ოქტომბერი. დ. ცივოვმა გაიმეორა იუგოსლავიის რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში — 214 სმ.

● მოსკოვი, 12 ოქტომბერი. აქ ცნობილი გახდა, რომ ზეგ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიური ნაკრები სტოკჰოლმის სტადიონზე ითამაშებს შვეციის ახალგაზრდულ გუნდთან. მწვრთნელებმა კ. ბესკოვმა და ნ. გულიაევმა სსრ კავშირის გუნდში შეიყვანეს 16 ფეხბურთელი: მეკარეები — ვ. პილგუი და ს. კრამარენკო, მცველები — ვ. შტაპოვი, ვ. ანიჩკინი, ვ. სმირნოვი, ვ. ბრუხტი, ვ. ზიკოვი, ნახევარმცველები — ვ. მახლოვი, ვ. უტკინი, ა. ანდრიასოვი, თავდამსხმელები — ვ. ეშტრეკოვი, ი. ავრუცკი, ვ. კოზლოვი, გ. ევრიუჟიხინი, ი. სტეკოლნიკოვი, მ. გერშკოვიჩი.

● ბერლინი, 12 ოქტომბერი. გდრ-ის მძლეოსნები კიდევ ერთი საპატიო პრიზის მფლობელნი გახდნენ — სპორტულ სიარულში ლუგანოს თასი მოიხვეჭეს. 20-კილომეტრიან დისტანციაზე პირველობდა ჰ. რეიმანი — 1:26. 54,6. 50 კილომეტრზე შეჯიბრების ფინიშთან ყველაზე ადრე მივიდა ქ. ჰიონე — 4:04. 35,2. გუნდურ პირველობაში გდრ-ის წარმომადგენლებმა 134 ქულა დააგროვეს. საბჭოთა სპორტსმენების შედეგია 125 ქულა.

● ერევანი, 12 ოქტომბერი. ადგილობრივი „არარატის" ფეხბურთელები მასპინძლობდნენ თეირანის ნაკრებს. მატჩის ანგარიშია 2:0 ერევნელთა სასარგებლოდ.

● პარდუბიცე, 12 ოქტომბერი. აქ ჩატარდა ცხენოსანთა საერთაშორისო ასპარეზობა სტიპლ-ჩეზში. საბჭოთა მხედარმა ა. კაპუშევმა მოიხვეჭა 3 პრიზი, როცა მოიგო 5000, 3600, 2600 მეტრზე რბოლა.

● სევასტოპოლი, 12 ოქტომბერი. აქ დამთავრდა იახტსმენთა საკავშირო შეჯიბრება. „დრაკონის" კლასში პირველი იყო ი. ანისიმოვი (არხანგელსკი), „მფრინავი ჰოლანდიელის" კლასში — ვ. ლეონტიევი (მოსკოვი), „ფინის" კლასში — ვ. დირდირა (კიევი).

# კოსმოსური ჭადრაკი

„პრავდაში“ გამოქვეყნდა წერილი „ჭადრაკი კოსმოსში“. უწონადობის პირობებში ჭადრაკი (თუნდაც მაგნიტური) გამოუსადეგარია, რადგან ფიგურები შეიძლება დაიკარგოს. ისინი ჰაერში აცურდებიან და საბოლოო ჯამში ბევრი უსიამოვნება შეიძლება გამოიწვიონ. რას წარმოადგენს კოსმოსური ჭადრაკი? როდის და ვინ გამოიგონა? კოსმონავტებმა გვაჩვენეს ეს ჭადრაკი ტელევიზიით, მაგრამ როგორაა იგი მოწყობილი, ძნელი გასაგები იყო.

ამას წინათ ამ შეკითხვით მიმართა გაზეთ „პრავდის“ რედაქციას მოსკოველმა მკითხველმა კ. სელინმა. რედაქციამ ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა კოსმოსური ჭადრაკის გამომგონებელს სთხოვა.

კოსმოსური ხომალდების ეკიპაჟების თამაშებსა და აქტიური დასვენების სხვა საშუალებებს შორის, როცა ფრენა რამდენიმე დღესა და კვირას კი არა, რამდენიმე თვესაც გაგრძელდება, ჭადრაკი უთუოდ მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს. ეკიპაჟის წევრებს შეუძლიათ „დუელში გამოიწვიონ“ ერთმანეთი და, როგორც „სოიუზ-9“-ის ფრენამ გვიჩვენა, რადიოთი დედამიწაზე დარჩენილებსაც ეთამაშონ. ხანგრძლივ კოსმოსურ მოგზაურობაში ხომ აქტიური დასვენება კოსმონავტების დღის განრიგის აუცილებელი ნაწილი გახდება.

რატომ გახდა საჭირო სპეციალური ჭადრაკის შექმნა კოსმოსური ფრენისთვის? ხომ არსებობს საგზაო ჭადრაკის სხვადასხვა კონსტრუქცია, სადაც ფიგურები დაფაზე მოძრაობენ მანჭვალების, მინიატურული მაგნიტების, ხაოიანი ელვების დახმარებით და ა. შ. მაგრამ გამოცდილებამ დაადასტურა, რომ ჩვეულებრივი საგზაო ჭადრაკით თამაშის დროს გამორიცხული არ არის ფიგურების დაკარგვა. ჭადრაკის პატარა ფიგურას კი, რომელიც უწონადობის დროს კაბინაში იფრენს, ბევრი უსიამოვნების მოტანა შეუძლია.

ამგვარად, კოსმოსური ფრენის პირობებში სათამაშოდ გამოსადეგი ჭადრაკის შექმნა არც ისე იოლი ამოცანა აღმოჩნდა. ფიგურები მოძრავიც უნდა ყოფილიყო და გამუდმებით დაფაზე მიკრულიც.

ამის მიღწევა მოხერხდა. ჭადრაკში, რომელიც ორბიტაზე წაიღო „სოიუზ-9“-ის ეკიპაჟმა, დაფა „დასერილია“ ვერტიკალური და ჰორიზონტალური, რუსული T-ს მსგავსი ჭრილებით, რომლებიც ყველა უჯრის ცენტრში და სათამაშო მინდვრის ფარგლებს გარეთ გამოდიან. ყოველი ფიგურის ძირში მოთავსებულია მანჭვალი, რომლის დაბოლოვებაც ჭრილშია შეყვანილი. ამის წყალობით ფიგურა გამუდმებით მექანიკურადაა დაკავშირებული დაფასთან: სვლის გაკეთების დროს საჭიროა ფიგურა გადაანაცვლო ჭრილების ლაბირინთში წინასწარ შერჩეულ უჯრაზე. თუ ეს უჯრა „აღებული“ ფიგურითაა დაკავებული, მოთამაშემ იგი წინასწარ (აგრეთვე ჭრილებში) უნდა გაიტანოს სათამაშო მინდვრის საზღვრებიდან. მანჭვალის სიგრძე უფლებას იძლევა, რომ მოთამაშემ ოდნავ ასწიოს ფიგურები, რაც ძალზე მოსახერხებელია მათი გადანაცვლების დროს. იმისთვის, რომ გადანაცვლების დროს ფიგურა ავტომატურად დაფაზე დარჩეს, ყოველ მანჭვალს ჩამოცმული აქვს შაიბა დრეკადი ელემენტით, რომელიც მას დაფის შიგნითა მხარისკენ უბიძგებს.

ამგვარად ფიგურის დასამაგრებელი მთელი კვანძი ჭრილის შიგნითაა მოთავსებული.

თამაშიდან გამოსული ფიგურებისთვის დაფის ორი მხრიდან (მეტოქეთა მხარეებიდან) გათვალისწინებულია თითო დამატებითი „შესაკრები“ ჭრილი, სადაც თავს იყრის ყველა ვერტიკალური ხაზი.

ჭადრაკის პირველ მოდელში, რომელიც ა. ნიკოლაევმა უჩვენა ტელემაყურებლებს, „შესაკრები“ ჭრილები განლაგებულია სათამაშო მინდვრის განაპირას, მის სიბრტყეზე. ასეთი კონსტრუქციის დროს, რასაკვირველია, დაფის დაკეცვა არ შეიძლებოდა — ზედ პერპენდიკულარულად გაწყობილი ფიგურები ამის საშუალებას არ იძლეოდნენ. ახლა ეს ნაკლიც გამოსწორდა. დაფა შედგება ორი ნახევრისაგან და წიგნივით იშლება. უკვე მზადაა ჭადრაკის უკანასკნელი მოდელის ნიმუშები, რაც მალე გამოჩნდება მაღაზიებში. ეს ჭადრაკი მარტო კოსმოსური ფრენის პერიოდში როდია გამოსადეგი. ასეთი ჭადრაკით ალბათ ისარგებლებენ ტრანსპორტის ყველა სახის მგზავრები, ავადმყოფები, რომელთაც წოლითი რეჟიმი აქვთ დანიშნული, ტურისტები.

მ. კლევცოვი,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ინჟინერი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

კარატე თავდაცვის თავისებური კომპლექსია იაპონიაში, რომელიც ჯიუჯიცუსგან განსხვავებით ბევრ მტკივნეულ ილეთს შეიცავს და ხშირად სხეულის მძიმე დაზიანებასაც იწვევს. უწინ კარატეს ილეთებს (მათი რაოდენობა კი რამდენიმე ათეულს აღწევს) მხოლოდ ერთეულები ფლობდნენ, ისიც მიუვალ მთებში მცხოვრები, ნახევრად ველური, ცივილიზაციისადმი მტრულად განწყობილი ადამიანები. სწორედ მათგან გადაიღეს და შეისწავლეს კარატეს „სიბრძნე“ იმ თავზე ხელაღებულებმა, რომლებიც რაიმე მიზეზით თავს არიდებდნენ მართლმსაჯულებას და ტყე-ღრეში დაეხეტებოდნენ.

დროთა განმავლობაში კარატემ უფრო დახვეწილი სახე მიიღო. იგი ბარშიც ჩამოვიდა, ეწვია დიდი ქალაქების სპორტდარბაზებს და ბოლოს ახალგაზრდობის ინტერესის საგანიც გახდა. ახლა კარატე წარმატებით დაბიჯებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, როგორც იაპონელთა ეგზოტიკური, დღემდე შემორჩენილი სპორტის სახეობა.

ამას წინათ ლონდონში ევროპის ჩემპიონატიც კი ჩატარდა კარატეში. ტურნირმა ახალგაზრდობის მოწონება დაიმსახურა პირველ რიგში სწრაფი და მკაცრი ილეთების წყალობით. ერთ დღეს დარბაზში, სადაც სპორტსმენები ასპარეზობდნენ, მოხუცი იაპონელი გამოცხადდა. მან გულმოდგინედ შეათვალიერა ჩემპიონატის მონაწილენი და საბრძოლველად მიიპატიჟა ისინი.

იაპონელის საქციელმა დარბაზის საერთო გაკვირვება გამოიწვია. ეს გასაგებიც იყო, ვინაიდან მოულოდნელი სტუმარი 78 წლის მოხუცი გახლდათ. და აი, მოხუცი ერთ წამში ჯარასავით დატრიალდა და მის გარშემო, როგორც ბრძოლის ველზე, დაცვივდნენ საქციელწამხდარი, ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდები. საინტერესო იყო ისიც, რომ ყოველ მორიგ მსხვერპლს მოხუცი მიწაზე ანარცხებდა შემდეგი სიტყვებით: „დიდი ბოდიში“!

კარატეს მოყვარულებმა გვიან გაიგეს, ვისთან ჰქონდათ საქმე. მოხუცი აღმოჩნდა პროფესორი ოტსუკა — სამხედრო-გამოყენებითი სპორტის ცნობილი სპეციალისტი და „ვადო ვიუს“ სტილის ფუძემდებელი (ეს სტილი კარატეს სრულყოფილი და უფრო გაკეთილშობილებული სახეობაა).

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: პროფესორი ოტსუკა კარატეს ერთ-ერთი ილეთის დემონსტრირებისას.

# ყოველი მხრიდან

## გაიყიდა სუარესი

ის ამბავი, რომ ყოველი საფეხბურთო სეზონის წინ იტალიაში დიდი ბაზრობა იმართება, სადაც ცნობილი მოთამაშეებით ვაჭრობენ, საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ ის, რაც სახელგანთქმულ ფეხბურთელს ლუის სუარესს შეემთხვა, ალბათ ბევრმა როდი იცის.

კონფლიქტი „ინტერნაციონალეს“, უფრო ზუსტად, ამ კლუბის პრეზიდენტ ფრაიძოლისა და ფეხბურთელ სუარესს შორის ესპანურმა ჟურნალმა „მარკამ“ გამოააშკარავა.

„სპორტის ბევრი საქმოსნისთვის იტალიაში ფეხბურთელი მოთამაშე კი არა, კანტორის უბრალო მოხელეა. სუარესი სეზონის დამთავრების შემდეგ „კალიარიში“ აპირებდა გადასვლას. ფრაიძოლის, რასაკვირველია, არ სურდა, რომ სარდინიის ისედაც ძლიერი კლუბი კიდევ უფრო გაძლიერებულიყო ახალი ფეხბურთელის მიღებით. მან ფეოდალის უფლებები გამოიყენა და სუარესი „სამპდორიას“ მიჰყიდა. უფრო ზუსტად, ფრაიძოლიმ კი არ გაყიდა სუარესი, არამედ მეორე ვეტერანთან სპადეტისთან ერთად ახალგაზრდა ვარსკვლავზე — ფრუსტალუპიოზე გადაცვალა. ასე არაადამიანურად მოექცნენ ფეხბურთელს, რომელმაც თავის დროზე მსოფლიო დიდება მოუტანა მილანის კლუბს“.

რა გვეთქმის, იქ, სადაც ოქროს კერპი ბატონობს, გონებისა და სინდისის ხმა უძლურია.

## „დამნაშავეა“ ტაქსი

70 წლის იაპონელ კაცუი სინოზაკის უჩვეულო სპორტული კარიერა აქვს. იგი უკვე 60 წლისა იყო, როცა ქუჩაში ტაქსი დაეჯახა. სინოზაკიმ რამდენიმე კბილი დაკარგა და ფეხი მოიტეხა. საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ მან მკურნალობის მიზნით დაიწყო ფეხით სიარული, მერე კი კროსებზეც გადავიდა. მოკლე ხანში სინოზაკი ისე დაოსტატდა ამ სახეობაში, რომ შარშან შვეციის ქალაქ შიოვდში ვეტერანთა არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატშიც კი გამოვიდა. მან 60 წელს გადაცილებულ სპორტსმენთა შორის საუკეთესო შედეგით დაამთავრა დისტანცია, 42 კილომეტრსა და 195 მეტრზე 3:57.43,0 აჩვენა.

სინოზაკის გამარჯვებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მის თანაქალაქელებზე — ფუკუსიმელებზე. თუმცა, სჯობს თავად ვეტერანს მივცეთ სიტყვა: „ადრე ქუჩაში რომ დავრბოდი, თითქოს გიჟად მთვლიდნენ, ახლა კი უკვე მისაბაძი გავხდი. დღეს ჩვენს ქალაქში დარბის დიდი და პატარა, ღრმა მოხუცებიც კი“.

## „ზღვის თოლია“ შინ დაბრუნდა

„ხაკუო ენოსიმა“ („ზღვის თოლია“) — ასე ჰქვია პატარა (სიგრძით 7,5 მ) კოპწია ნავს, რომელმაც 474 დღის წინ იაპონიის კუნძულებიდან დედამიწის ირგვლივ მოგზაურობის სტარტი აიღო. მამაც მოგზაურებს — კეიტარო კურიხარას, იირო ტაკედას და კიოკი სირასის თითქმის წელიწადი და ოთხი თვე დასჭირდათ. მათ 38 ათასი საზღვაო მილი დაფარეს, ბევრჯერ ქარიშხალსა და განსაცდელს გაუძლეს, მაგრამ შინ მშვიდობით დაბრუნდნენ. იაპონელებმა დაამტკიცეს, რომ ჩვენს საუკუნეში ოკეანეში მოგზაურობა ასეთი პატარა ნავითაც მშვენივრად შეიძლება.

## თავის თავს თამაშობს

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი საავტომობილო სპორტში, 59 წლის ხუან მანუელ ფანხიო, რომელმაც რიო-დე-ჟანეიროში გულის შეტევის შემდეგ მიატოვა ეს სახეობა, ახლა კვლავ მიუჯდა საჭეს. იტალიაში გამართულ რბოლაში არგენტინელმა თავისი ასაკისთვის საკმაოდ კარგი შედეგი მოიპოვა — 300 კმ საათში. ეს შედეგი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ სპორტსმენ ფანხიოს იმ დროს იღებდნენ კინოფილმისთვის, რომელშიც იგი საკუთარ თავს თამაშობს. ამ დროს ინგლისელი რეჟისორი ჰ. ჰადსონი მანქანით მიჰქროდა ერთ დროს სახელგანთქმული მრბოლელის წინ, რომელსაც ფილმი ეძღვნება.

# ქალი... ფეხბურთის მინდორზე

უკანასკნელ დრომდე ფეხბურთი „ძლიერი“ სქესის პრივილეგიად ითვლებოდა, მაგრამ ბოლო წლებში ქალებმა გადაწყვიტეს ძალა ამ სარბიელზეც ეცადათ.

თავიდან ცოტას სჯეროდებოდნენ. არც ისე დიდი ხანია, რაც ზოგიერთ ქვეყანაში სტადიონებზე ქაბიანი არბიტრები გამოჩნდნენ. ამასთან, სპორტული ჟურნალისტები და თავად შეჯიბრების მონაწილენიც აღიარებდნენ, რომ მსაჯი ქალი კეთილ გავლენას ახდენდა ფეხბურთელებზე: მოთამაშეები კორექტულად იქცეოდნენ და ემოციების შეკავებას ცდილობდნენ. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ყოველივე ეს თავისებური სპორტული კურიოზის ფარგლებს ვერ გასცდა.

მაგრამ აი, სხვადასხვა ქვეყანაში ფეხბურთელ ქალთა გუნდებიც ჩამოყალიბდა. ამასთან, ქალთა ფეხბურთმა ერთბაშად კარგი ტემპი აიღო. უკვე ამ ზაფხულს იტალიაში ჩატარდა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი, რომელმაც მაყურებელთა კარგი აუდიტორია მიიზიდა.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, გამარჯვება ხვდათ დანიელებს, რომლებმაც ანგარიშით 2:0 მოუგეს იტალიის გუნდს. ამ შეჯიბრებისადმი ინტერესს განსაკუთრებით ავლენდნენ პროფესიული სპორტის ბოსები, რომელთაც იცოდნენ, რომ ქალთა ფეხბურთი კარგი შემოსავლის წყაროდ შეიძლებოდა ქცეულიყო.

მიუხედავად ამისა, ქალთა ფეხბურთი ჯერჯერობით „უკანონო ბავშვის“ როლში რჩება. იგი არსებობს თვით სპორტსმენთა ენთუზიაზმისა და გულშემატკივარ მამაკაცთა წყალობით. ამას წინათ პრობლემის ასე თუ ისე გადაწყვეტა სცადა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ, რომელმაც ანკეტა დაუგზავნა ამ ორგანიზაციაში შემავალ 135 ეროვნულ ასოციაციას. ამ დღეებში გამოქვეყნდა გამოკითხვის შედეგებიც.

ცნობილი გახდა, რომ ქალთა ფეხბურთი ოფიციალურად აღიარებულია 12 ქვეყანაში. სხვათა შორის, ამ ქვეყნების რიცხვში შედიან ალჟირი, გვატემალა, ჩრდილოეთ ვოლტა, სინგაპური. 21 ქვეყანაში ქალთა გუნდების მატჩები საკმაოდ ხშირად ტარდება, თუმცა ეს სახეობა ოფიციალურად აღიარებული არ არის. ამ ქვეყნებს შორის უნდა დავასახელოთ ბრაზილია, ინგლისი, იტალია, ამერიკის შეერთებული შტატები.

ფიფა-ს კატეგორიული პასუხი გაუგზავნა პარაგვაიმ. ამ პასუხში ნათქვამი იყო, რომ ქალთა ფეხბურთი პარაგვაიში აკრძალულია, რადგან ეს სახეობა „ეწინააღმდეგება ქალის ბუნებას“.

რამდენიმე ფედერაცია დადებითი აზრისა აღმოჩნდა ფეხბურთის მსაჯ ქალებზე. ეს განსაკუთრებით ეხება მოსწავლეთა და ჭაბუკთა შეჯიბრებებს, აგრეთვე, ამხანაგურ მატჩებს.

თავისებური რეკორდი ეკუთვნის ჰოლანდიას, სადაც ახლა ასამდე ქალია ფეხბურთელთა მატჩების მსაჯი. შვეიცარიაში 20 არბიტრი ქალი ჰყავთ, შვეციაში — 15, ახალ ზელანდიაში — 3, ავსტრიასა და იაპონიაში — 2-2, კენიასა და უგანდაში — თითო.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია ქალთა ფეხბურთს კიდევ უფრო რთულ გზას უწინასწარმეტყველებს, რადგან ბევრი ექიმი და ფიზიოლოგი ამ სახეობას ქალისთვის ყოვლად შეუფერებლად მიიჩნევს. დღეს არსებული ინტერესი ქალთა ფეხბურთისადმი რამდენამდე საქმოსანთა ზრახვებითაც შეიძლება აიხსნას. მათ სურთ რაც შეიძლება მეტი მოგება ნახონ.




◆ ჰამბურგი, 13 ოქტომბერი. ევროპის ლიგის პირველობის გათამაშებაში გამარჯვებით დაიწყეს თავიანთი გამოსვლა შვედმა მაგიდის ჩოგბურთელებმა. აქ ისინი შეხვდნენ გფრ-ის ნაკრებს და გაიმარჯვეს ანგარიშით 6:1.

△ ბუდაპეშტი, 13 ოქტომბერი. აქ ჩამოვიდა სსრ კავშირის ნაკრები გუნდი, რომელიც ევროპის ლიგის პირველობაში შეხვდება უნგრეთის მაგიდის ჩოგბურთელებს. ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში არიან: ევროპის წლევანდელი ჩემპიონი ზ. რუდნოვა, ს. გომოზკოვი და ს. სარხოიანი. გუნდის უფროსი მწვრთნელია, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, მოსკოველი გ. ავერინი.



△ ჰამბურგი. ხელბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდნენ გფრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და დანიის კოლექტივები. ადგილებიც ამ თანმიმდევრობით განაწილდა.

△ ბელგრადი. დამთავრდა იუგოსლავიის ჩემპიონატი წყალბურთში, სადაც გამარჯვება და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასში მონაწილეობის უფლება „პარტიზანმა“ მოიპოვა. II ადგილზეა „მლადოსტი“, III — „იადრანი“.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.